პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 261 (20302) — შაბათი, 12 ნოემბერი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

Нац. б-ка Грузии
Сах. сах. Рабочий

● ადამიანები სულ უფრო აქტიურად ემზადებიან სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების და დამატებების შეტანის და სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ კანონის პროექტების განხილვაში, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, შენიშვნებს, წინადადებებს. სამართლო ანბანურით ისინი იწონებენ კანონის პროექტებს, მიიჩნიათ რა, რომ ეს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სრულუფლებიანი საფუძველია.

განვიხილავთ კანონების პროექტებს

საბჭოების ძალაუფლება ხალხის ძალაუფლებაა

შენიშვნა მრთი მუხლის გამო

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებების და დამატებების შესახებ“ პროექტის გამოქვეყნებამ საზოგადოებრიობის ფართო ინტერესი გამოიწვია. და ეს ბუნებრივია, რადგან ამ ცვლილებებითა და დამატებებით უნდა დაფდოს სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. კონსტიტუციის პროექტის საჯარო განხილვაში აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდობა, რომელიც სულ უფრო თავისუფლდება სოციალური აპათიისაგან და ძალუმად ავლენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური და ეროვნული პროცესების კრიტიკულად შეფასების სურვილსა და უნარს.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად განვიხილეთ ახალი კონსტიტუციის პროექტი. გამოთქმული იქნა მრავალი ფაქტიერი. ბევრ შენიშვნა. მწვავე კამათი გამოიწვია განსახილველი პროექტის მე-15 თავის 108-ე მუხლმა, რომელიც საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის უფლებამოსილებას განსაზღვრავს. კერძოდ, ამ მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ, რომ „გადაწყვეტილებათა მიღება სსრ კავშირის შემადგენლობის საკითხებზე“ სახალხო დეპუტატთა საკავშირო ყრილობის „გადებულობას ანგარიშვალდებულ“ ეს ... ...

მიღწეული მიჯნა არ არის

სამეცნიერო ანგარიში რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების გზა

საქართველოს ეკონომიკური თვითუზრუნველყოფის პრობლემას ისეთი მაღალი აქცია, იმდენად სათუთი მიდგომა სჭირდება, რომ აჩქარება ამ საქმეში გაუმართლებელია. მაგრამ მიუტევებელია დაყოვნებაც, მით უფრო, რომ მთელს კავშირში, განსაკუთრებით [illegible]

თანასწორი პარტნიორობის პრინციპებით

ფაქტი ● ციფრები ● კომენტარი

რაიონში პირველი



ფაბრიკა სახეს იცვლის

ფოტოზე: [illegible]

სათბურსა და ენერგიას — ზუსტი აღრიცხვა

არდაზოგვა დაკარგვას ნიშნავს

...ა ენა წახდეს, ერი დაეცეს

ამ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ ...ართული ენის სახელმწიფო პროგრამის" პრო... ...ტს დიდი სიხარულითა და ინტერესით შეხვდა ...ენი საზოგადოება. ამის დასტურია ჩვენი მკით... ...ების წერილები, რომლებშიც ერთსულოვნად ...ლების შეფასებული ეს დოკუმენტი, როგორც უდი... ...დიდმნიშვნელოვანი კულტურულ-ისტო... ...ული და პოლიტიკური ფაქტი. „ეს იმის ნათე... ...დასტურიცაა, თუ როგორ ზრუნავენ პარტია ...მთავრობა საბჭოთა კავშირის თანასწორუფ... ...ბიან ხალხთა ენების კონსტიტუციური სტა... ...სისათვის", — გვწერს ქუთაისელი ინჟინერი ...მაჭავარიანი. „ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული ...ნვიცადე, როდესაც პროგრამის პროექტი წა... ...ითხე. ახლა კი ვირწმუნე, რომ ჭეშმარიტად ...ვიდრდება საჯაროობა და დემოკრატია", — ახე ...ებს თავის ბარათს თბილისის 89-ე საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის გამგე გ. ზურაბიანი. „როგორ ზუსტად გამოხატავს ყოველი პატრიოტის გულისთქმას, როგორ ესალბუნება ჩვენს დღევანდელ სატკივარს ეს პროგრამა! დიდი მადლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამ დიდებული ინიციატივისათვის", — იწერება სამი შვილის დედა მ. გელდიაშვილი თელავის რაიონიდან. „ჩვენ კიდევ ერთხელ ვიგრძენით ეროვნული საქმისათვის ის დიდი ზრუნვა, რომელიც ახე წარმოჩნდა ამ ბოლო ხანს. ამ პროგრამამ კიდევ ერთხელ დაგვანახვა ჩვენი მოვალეობა ქვეყნის, ერის, ქართული კულტურის წინაშე"... — ეს ბარათი თბილისის 189-ე საშუალო სკოლის მერვეკლასელებმა გამოგვიგზავნეს.

ქვემოთ დაბეჭდილი ორი წერილი „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის" პროექტის განხილვას ეძღვნება.

უნდა დაემატოს

ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტს რომ გავეცანი, მსურს მოგახსენოთ ჩემი აზრი და მოკრძალებული შენიშვნები:

პირველი: აღნიშნული პროექტის შესავალში ნათქვამია: „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციისა და კოორდინაციის ფუნქცია ეკისრება შოთა რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმსა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობას".

ჩემი აზრით, დასახელებულ ორ ორგანიზაციასთან ერთად უნდა იყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

მეორე: ადრე გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია პროექტის მესამე თავს ცალკე მუხლად აუცილებლად დაემატოს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მრავალტომეულის გამოცემა.

მესამე: პროექტის მესამე თავის 35-ე მუხლში მითითებულია: „რესპუბლიკის ბიბლიოთეკების მაქსიმალურად მომარაგება ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე შექმნილი ლიტერატურით". ეს კარგია და მისაღებია, მაგრამ, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი. კარგი იქნება, ხსენებულ მუხლს დაემატოს აგრეთვე მატიანეებით (წიგნი, საგაზეთო და საჟურნალო სტატიები) მომარაგება, ოღონდ არა იმ სახით, როგორც ამჟამად გამოიცემა (როტაპრინტის საშუალებით), არამედ მხოლოდ და მხოლოდ სტამბური წესით, რადგან როტოპრინტის საშუალებით გამოცემული ძალზე მდარე ხარისხისაა, ბევრი ადგილი ვერ იკითხება და სხვა.

გრიგოლ ზაქარაია,
კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოგრაფი.

ჩვენც ხელს გამოვიღებთ!

როგორც ყველა ქართველი, გულით მივესალმები „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამას". აქვე მინდა ჩემი მოსაზრებაც გამოვთქვა.

პროექტი მოიცავს სხვადასხვა საორგანიზაციო ღონისძიებებს.

მეოთხე: როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ორგანიზაციაში, ხელმძღვანელ ორგანოებშიც კი, საქმის წარმოება რუსულ ენაზეა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ქართული ქაღალდის (ენგურქაღალდკომბინატის) იუბილე რომ გადაიხადეთ, ექვსგვერდიან მოსაწვევ ბარათზე ერთი ქართული ასონიშანიც არ იყო... პროგრამაში მითითებული უნდა იყოს, რომ საქმის წარმოება ჩვენს რესპუბლიკაში უნდა იყოს ქართულ ენაზე.

რომლებიც უახლოეს 1-3 ან 5-12 წელიწადში უნდა განხორციელდეს. როგორც მოგეხსენებათ, საჭირო იქნება უამრავი გამოცემის მომზადება და გამოშვება. ეს ღონისძიებანი რესპუბლიკის მთავრობას და ცალკეულ უწყებებს, ალბათ, რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი დაუჯდებათ და, იქნებ, პროექტში გეგმით დაყენებული საკითხების გადაწყვეტა ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის გარეშე გაძნელდეს, გაჭიანურდეს. ამიტომ ჩემი წინადადებაა სათანადო ორგანიზაციებმა და უწყებებმა წინასწარ გამოაქვეყნონ კონკრეტული გამოცემების სია, მათი საცალო ფასი, და დაიწყოს ხელმოწერა ამ გამოცემებზე თანხის გადახდით. გამოცემულ ლიტერატურას კი ხელმომწერი რამდენიმე წელიწადში მიიღებს. ეს ღონისძიება საშუალებას მოგვცემს შევქმნათ სპეციალური ბიუჯეტი, რათა განვამტკიცოთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა პროექტში აღძრული საკითხების რეალიზაციისათვის. კარგი იქნებოდა, ლატარიის სპეციალური ტირაჟების მოწყობაც და ქართული ენის შემდგომი განვითარების ფონდის შექმნაც.

ჯ. გორგიაშვილი.
თბილისი.

აჩქარებითა სოფელი...

სამი თვე თბილისში არ ვიყავი. აფორიაქებულ/ დამხვდა ქალაქი, რომელიც გამაღიზიანებლად მშვიდი და არხეინი დავტოვე. ჩვენს დიდ ქვეყანაში, სხვადასხვა რესპუბლიკებში მღელვარე ამბები ხდებოდა და სადღაც გულში კიდევაც ვწუხდი, ჩვენს სატკივარზე ხმას რომ არ ვიღებდით. ჩამოვედი თუ არა, ზღვა ინფორმაცია მივიღე ჩემი ნაცნობ-მეგობრებისაგან, მეზობლებისაგან, სრულიად უცნობი ადამიანებისგანაც. ის, რომ ამ ბოლო ხანებში ცენტრალური პრესის ფურცლებზე თუ ტელევიზიის ეკრანიდან დიდი ეშხით და სიამოვნებით ცილობენ ქართველებზე „თავდასხმას", ჩემთვის ახალი არ იყო. კაცმა რომ თქვას, მე ეს გულს არ მიკლავდა, ბოლოს და ბოლოს ადამიანს თუ არ უყვარხარ, ძალით თავს ვერ შეაყვარებ, რაც არ უნდა უმტკიცო, შენს სიკეთეს მაინც ვერ დაინახებ. მე უფრო ის მანაღვლიანებდა, ასეთი უსუსურები რომ ვჩანდით თავის დაცვისას. ისიც კი ვიფიქრე, იქნებ ამას განგებ სჩადიან, მოთმინებიდან რომ გამოგვიყვანონ-მეთქი. მოთმინებიდან გამოსული ადამიანი კი ხშირად ათას სისულელეს იტყვის და ჩაიდენს. იქნებ არ დამეთანხმოთ და გამკიცხოთ კიდეც, მაგრამ ჩემი პოზიცია ასეთია: თუ თავდასხმელს ვერ გასცემ ღირსეულ პასუხს, ჯობია ჩუმად იყო და პროვოკაციულ გამოხდომებს არ აყვე.

უმდიდრესი ინფორმაციიდან, რომელიც თბილისში დამახვედრეს, ჩემთვის მთავარი ის იყო, რაც უნივერსიტეტის სტუდენტებმა წამოიწყეს. რა ბედნიერებაა, როცა იმედდაკარგულს გგონია, რომ ყველაფერი მთელმარე გულგრილობაში ჩაიძირა ან სუფრული პატრიოტიზმის დონემდე დავიდა და უცებ სხვაგან რჩები — თურმე ქალაქში, სადაც ცხოვრობ, შენს გვერდით იზრდებიან ახალგაზრდები, სულით ინტელიგენტები, თავისი ქვეყნის ჭეშმარიტი მამულიშვილები. ისინი მთელი სიგრძე-სიგანით ხედავენ სამყაროს, შორს დგანან პროვინციული აზროვნებისაგან და ჩვენი პატარა საქართველოს სატკივარს მსოფლიოს პრობლემათა პრიზმაში ატარებენ.

ეს ფიქრები მიტრიალებდა თავში, როცა უცხოეთიდან დაბრუნებული მოსკოველ ქართველთან, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან — ვ. გელოვანთან ვიყავი სტუმრად და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა შეხვედრის ვიდეოჩანაწერს ვუყურებდი. ეს სადამო ჩემი ცხოვრებისეული შთაბეჭდილებებიდან ყველაზე დაუვიწყარი იყო. მართალია, ბევრი რამ ამ ახალგაზრდულ მოძრაობაში შესაძლოა რადიკალური გვეჩვენოს, ამას კიდევ უფრო ამძაფრებს მითქმა-მოთქმა და ჭორები (ახალგაზრდები არაქართული ეროვნების ადამიანთა გასახლებას ითხოვენ, არაქართული სკოლები საჭირო არ არის, უნდა დაიხუროს და ა. შ.), მაგრამ მე მჯერა: იმ ახალგაზრდების ბირთვი, რომელმაც ასეთი დიდი საქმე ითავა, ადამიანურ, ჰუმანურ პოზიციას არ უღალატებს.

უჩვეულო დროის მოწმენი გავხდით. ის, რაც წლების მანძილზე გვაწუხებდა, გვტანჯავდა, დღეს საჯარო განხილვის საგნად იქცა. ის საწუხარი, რასაც საკუთარ თავსაც არ ვუმხელდით, რასაც განგებ ვაგდებდით ჩვენი ცნობიერების არედან, სააშკარაოზე გამოვიდა, ყველასათვის საჩინო გახდა. რამდენი სატკივარი დაგროვილა, სნეული საკუთარ თავსაც არ უტყდება, რომ რაღაც აწუხებს, ღრღნის, მაგრამ მაინც დგება დღე, როცა ექიმთან უნდა მივიდეს და მისი მკაცრი განაჩენი მოისმინოს. თავისუფალ ერთა მძლე კავშირი არც ისე ძლიერი აღმოჩნდა. ერებმა, რომლებიც ათეული წლების მანძილზე დუმილით იტანდნენ უსამართლობას, დამცირებას, კანონიერად აღიმაღლეს ხმა. თვით რუსეთმაც კი ამჯარად იგრძნო, რომ რუსი ხალხის სულიერ საგანძურს, კულტურას, ეკონომიკურ თუ იდეოლოგიურ სფეროებს გადაშენების საფრთხე ელოდა, და რაღა უნდა ითქვას მცირე ერებზე, რომლებიც, ნუ დავმალავთ და, ბიოლოგიური გადაშენების უმძიმესი პრობლემის წინაშე დადგნენ. თუ ამ მოვლენებს გონივრულად გავიაზრებთ, არ გაგვიკვირდება ის მღელვარება, რომელმაც ჩვენი ქვეყანა შეიპყრო. აქ ვერც დიდ და ვერც პატარა ერებს ვერ გაამტყუნებ — ყველას თავისი ისტორია აქვს, ყველას თავისი გზა. და როგორც ყველა მოვლენას, ბუნებრივია, ამ ამბებსაც თავისი გადახრები ახლავს. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ რუსეთში „პამიატი" და ამიერკავკასიაში ყარაბახის კონფლიქტი. ლოგიკურია ისიც, რომ ამ საკითხებს ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებები საგანგებო პლენუმი უნდა მიეძღვნას.

საქართველო ოდითგანვე გამოირჩეოდა თავისი უსაზღვრო გულითადობით სხვა ერის შვილთა მიმართ, მე, პირადად, ამ თვისებას ქართველი კაცის ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად მივიჩნევ, თუმცა სიკეთის წილ ხშირად ბოროტებას ვიმკით. მაგრამ განა კაცი სიკეთეს იმიტომ სჩადის, რომ საფასურს ელოდება? ეს მისი ბუნებაა, მისი ხასიათი, საუკუნეებით განმტკიცებული. ვიცით ეს, მაგრამ გული ყელში მაინც გვებჯინება, როცა ჩვენს ერს კადნიერად მოიხსენიებენ, ცალკეულ ადამიანთა დანაშაულს მთელ ერს აწერენ. ამიტომაც სულელურ სიტუაციაში აღმოჩნდებით ხოლმე: კბილებით ვიცავთ იმ ზეცდომილებს, ვისი ავანჩავანიც ჩვენ უკეთ ვიცით და მათი ბოროტებაც სხვებზე მეტად ვიწვნიეთ.

ამას წინათ შემთხვევით ვნახე ამერიკელების მიერ გადაღებული ტელესიუჟეტი საქართველოზე. ძირითადად ეს იყო ინტერვიუ ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობასთან. ეკრანიდან გვესაუბრებოდნენ გონიერი, ნამდვილი ინტელიგენტი ყმაწვილები, ჩვენი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტები. ისე თავისუფლად აზროვნებდნენ და საუბრობდნენ ნებისმიერ თემაზე, რომ შევშურდებოდათ. მაგრამ უეცრად ამერიკელმა ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვა დაუსვა ახალგაზრდებს: არა გრცხვენიათ ქართველებს, რომ სტალინი თქვენი თანამემამულე იყო? ვიგრძენი, მოულოდნელობისგან როგორ შეეკრათ სუნთქვა. იმ მძიმე პაუზის დროს, ამ შეკითხვას რომ მოჰყვა, ამაოდ ვეძებდი პასუხს... მაგრამ აი, ერთ-ერთმა მათგანმა, გამხდარმა, სათვალებიანმა ყმაწვილმა შესანიშნავი ინგლისურით უპასუხა: არა. და მერე დაუმატა: განა სცხვენიათ სხვა ერებს, რომელთა წიაღში არაპაკლები ტირანები იშვა? ბოროტებას ხომ ეროვნება არ გააჩნია...

მე ამ ახალგაზრდებს არ ვიცნობ. გვინდა თუ არ გვინდა, ხვალინდელი საქართველო მათია. სამწუხაროდ, იქნებ ვცდები, მაგრამ, ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენს თაობას ცხოვრების გზაზე შემოეფლანგა იდეალები, ზნეობა, სინდისი... თუმცა ჩვენს თაობაშიც იყვნენ ადამიანები, რომლებიც იქნებ უფრო რთულ ვითარებაში იბრძოდნენ სიმართლისათვის. ბევრიც ემსხვერპლა ამ საქმეს. ეს ნუ დაგვავიწყდება.

დღესაც ყმაწვილებმა დიდებული საქმე ითავეს, მათ მშობელი ქვეყნის წარსულიც სტკივათ და მომავალიც. ღმერთმა არ ქნას, რომ მათი ცხოვრება ჩვენსას არ დაემსგავსოს, დინჯად, გონივრულად შეასხან ფრთები თავიანთ ჩანაფიქრს. მჯერა, შესძლებენ ამას. თუ არ აჩქარდებიან, ყმაწვილური ჟინი არ აიტაცებთ, თუ ესხომებათ, რომ მათ მიერ არჩეულ გზაზე შეცდომა საბედისწეროა — მაშინ ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. მოგეხსენებათ: „აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია".

ერთი ფიქრი არ მასვენებს მხოლოდ. ამ ახალგაზრდებს თანამოაზრენი უფროსი თაობიდანაც მრავლად ჰყავთ და მათ შორის ბევრი ისეთიც ურევია, არც ქვეყნის საფიქრალი რომ არ აწუხებს და არც მაღალი იდეალები. მათ, ხელმოცარულებს, მხოლოდ თავის გამოჩენის სურვილი ამოძრავებთ, რათა მომავალში ცოტა რამ მაინც ერგოთ.

არ მაგონდება, მგონი ძველ საბერძნეთში ხელისუფალმა ფილოსოფოსს ჰკითხა: რატომ ხდება ასე, ახალ სასიკეთო საქმეს შევუდგები თუ არა, თანამოძმეებთან ერთად ვიგინდარები მომეტმასნებიან ხოლმეო. ფილოსოფოსს უპასუხნია: რას იზამ, სახლს რომ აშენებ, ვიდრე გადახურავდე, შიგ უკვე ჭრიჭინები გაღობენო.

ან კიდევ: ცნობილი ამერიკელი მწერალი ა. ბირსი ამბობს თავის „სატანის ლექსიკონში": პატრიოტიზმი ავანტიურისტების უკანასკნელი თავშესაფარიაო.

და კიდევ: ორმოცდათექვსმეტი წლის 9 მარტს ტრაგიკულად დაიღუპა ასობით ქართველი ახალგაზრდა, მაგრამ იმ დღეებში ტრიბუნაზე შემდგარი „ორატორები" თავს მშვენივრად გრძნობენ.

რობერტ სტურუა.
„ლიტერატურული საქართველო". 11/XI.

ინტერვიუ

სოციალური ბარომეტრი ეჭვგარეშეა აფიქსირებს დღეს საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი აქტიურობის ზრდას. უკუვაგდებთ რა ფორმალურ ერთსულოვნებას, ვსწავლობთ ხმამაღლა გამოვთქვათ ჩვენი აზრი რაიმეს შხარდასაჭერად ან წინააღმდეგ. აი სსრ კავშირის უმაღლესისაბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაც კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და მოწყობის შესახებ. თუ მრავალი წერილის, სტატიის, ტელედა რადიოგადაცემის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენი უმრავლესობა გაგებით მოეკიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე დამტკიცებული უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტის დედააზრს. მაგრამ სამწუხაროდ არ წყდება ცდებიც წარმოადგინონ იგი დამახინჯებულად, ცალმხრივად, ანტიდემოკრატიულად. სინამდვილეში რამდენად შეუთავსდა ერთმანეთს ამ შემთხვევაში დემოკრატია და კანონიერება — ეს არის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან **თ. გ. ნინიძესთან საქინფორმის კორესპონდენტ**ის საუბრის თემა.

— ბატონო თედო, რატომ გაჩნდა სწორედ ახლა ბრძანებულება?

— სწორედ ეს არის მასების მზარდი აქტიურობის შედეგი და დადასტურება. ბრძანებულებამ ასახა დროის მოთხოვნა: შეიქმნას რეალური შესაძლებლობანი საიმისოდ, რომ საზოგადოებამ გავლენა მოახდინოს პლურალისტული ინიციატივის პოლიტიკურ განვითარებაზე.

ჩვენი ახლანდელი კონსტიტუცია, როგორც ცნობილია, მეოთხეა ქვეყნის ისტორიაში. ყოველი კონსტიტუცია შეიცავდა სსრ კავშირში პიროვნების სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ნორმებს. ესე იგი ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ ჩვენი უფლებებისა (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, პირადი) და მოვალეობების ერთობლიობას. პოლიტიკურ უფლებათა შორის — კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების თავისუფლებას. მაგრამ კონსტიტუციური ნორმები არ წარმოადგენენ უშუალო მოქმედების წესებს. მათ სჭირდებათ გარკვეული დაკონკრეტება, მოქალაქეთა უფლებების პრაქტიკული განხორციელების მექანიზმი. ეს, რა თქმა უნდა, მარტო მანიფესტაციების თავისუფლებას როდი ეხება. დღემდე ძირითადი კანონი შეიცავს ზოგიერთ სხვა დებულებასაც, რომლებიც ჯერ არ არის კონკრეტულად რეგლამენტირებული.

— მაგალითები?

— ინებეთ. სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 მუხლში აღნიშნულია: სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები საყოველთაოდ განიხილება და გადაეცემა საყოველთაო კენჭისყრისათვის. ზუსტად ერთი წლის წინათ მიიღეს კანონი საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ. აი მეორე ნაწილის—კენჭისყრის შესახებ კი კანონი არ არის. ჩვენ არ გვაქვს რეფერენდუმის პროცედურა, რაც აფერხებს ნამდვილი დემოკრატიზაციის პროცესს.

კიდევ მაგალითი. 1977 წელს მიღებული კონსტიტუციის 58-ე მუხლი შეიცავს ნორმას იმ თანამდებობის პირთა მოქმედების გასაჩივრების შესახებ, რომლებიც მართლზომიერი მოქმედება როგორც ადმინისტრაციული, ისე სასამართლო წესით. ასეთი ხარვეზების შესახებ საჯაროდ გამოთქვეს აზრი სპეციალისტებმა, და კანონიც კვლავ კამათს იწვევს.

— მაგრამ დავუბრუნდეთ კრებების ორგანიზაციისა და მოწყობის შესახებ კანონს... თქვენ განმარტეთ, თუ ძირითადად რით არის განპირობებული კონსტიტუციური ნორმების დაკონკრეტების საჭიროება. აქ კი, თითქოს, რა არის სარეგლამენტო: მოისურვა კაცმა და მონაწილეობს მანიფესტაციაში, არ უნდა და არ მონაწილეობს...

— ჯერ კიდევ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ ცხოვრობდე საზოგადოებაში და მისგან თავისუფალი იყო, შეუძლებელია. უფლება უნდა აერთიანებდეს პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესებს. დიახ, ამით იგი ჩარჩოებში თავსდება რომლის საზღვრის რიგ — პოლიციის კომისარი. სხვათა შორის, იგი უფლებამოსილია მიტინგი დახურულად გამოაცხადოს, თუ ღონისძიების დროს შეამჩნევს, რომ საფრთხე ემუქრება საზოგადოებრივ წესრიგს, მოუწოდებენ მალადობისათვის და ა. შ.

ზერელე ლაპარაკი რომ არ გამოგვივიდეს, ავიღოთ ვთქვათ დიდი ბრიტანეთის საკანონმდებლო პრაქტიკა. იქ პოლიციასაც აქვს უფლება სამი თვით აკრძალოს რაიმე მანიფესტაციის მოწყობა. დედაქალაქის პოლიციის კომისარს შეუძლია აკრძალოს ნებისმიერი საჯარო პროცესები დედაქალაქის ნებისმიერ ნაწილში. 1970 წლიდან კი ნისლიანი ალბიონის ქვეყანაში თვით უკანონო კრების მონაწილე ხალხთან შეერთების ფაქტსაც კი მიიჩნევენ სერიოზულ სისხლის სამართლის დანაშაულად მაშინაც კი, თუ მას თან არ სდევს მოქმედება ან ზიანის მიყენება. უნდა ითქვას, რომ ეს უფლებები არაერთგზის

— როდის შეიძლება უარის თქმა?

— კრებებისა და მიტინგების მოწყობის შესახებ განაცხადების განხილვისას ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან გადაწყვეტილება მიიღონ მკაცრად კანონის შესაბამისად. უარის თქმა შეიძლება, თუ ღონისძიებათა მიზანი ეწინააღმდეგება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებს ან საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა უშიშროებას. გარდა ამისა, კრებების, მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების მოწყობა შეიძლება აიკრძალოს, თუ ისინი ეწყობა და იმართება დადგენილი წესების დარღვევით. ჩამოთვლილ შემთხვევებში ბრალეულთ ეკისრებათ კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი. არ შეიძლება ამას არ დავეთანხმოთ. განა დასაშვებია საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ პრობლემაზე ერთადერთ სწორ შეხედულებად მივიჩნიოთ, ანგარიში არ გავუწიო არავის და არაფერს? ასეთი მიდგომა მხოლოდ ზიანს მიაყენებს ჭეშმარიტ დემოკრატიას, რომელიც მუდამ ითვალისწინებს საერთოდ საზოგადოების ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტების ძიებას.

ნორმებს გვიკარნახებს ცხოვრება

ბღალავენ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. და კვლავ იმის გამო, რომ არ არის გასაჩივრების წესის საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ნორმა არსებითად უმოქმედოდ იყო ათი წლის განმავლობაში.

— მაგრამ გასულ წელს შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ ხომ ნორმა სრულად „ამოქმედდა"?

— აქ სულ სხვა რამ არის. აბსოლუტურად სრულყოფილი კანონები არ არსებობს. კანონში, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, სერიოზული შეცდომებია. კერძოდ, დათქმულია მხოლოდ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება, თუმცა კოლეგიურ გადაწყვეტილებებშიც გვხვდება უსამართლო გადაწყვეტილებები. ან შეზღუდულია იმათი წრე, ვისაც აქვს გასაჩივრების უფლება. მაგრამ, როგორც ხაზგასმით აღინიშნა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მასალებში, სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს მხარეების — მოქალაქეებისა და სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობას. მაშასადამე ქვეყნის ნებისმიერ მცხოვრებს უნდა მიეცეს საშუალება გაასაჩივროს თანამდებობის პირის ყოველი არაგადაბიჯებამ შეიძლება გამოიწვიოს ვინმეს მიერ საკუთარი უფლების ბოროტად გამოყენება გარშემო მყოფთა უფლებებისა და ინტერესების საზიანოდ. ამიტომაც საკანონმდებლო რეგულირებას ეკისრება ჩვენი უფლებებისა და მოვალეობების ერთიანობის ოპტიმალური ვარიანტის დადგენის მისია.

— ბრძანებულების მომზადებისას, ალბათ, გათვალისწინებული იყო საზღვარგარეთის ანალოგიური გამოცდილება. ხაკმაოდ დემოკრატიულად გამოიყურება თუ არა მის ფონზე ჩვენს ქვეყანაში მიღებული აქტი?

— სავსებით. კაცმა რომ თქვას მოდით ერთად შევადაროთ. ყველა მაღალ განვითარებულ ქვეყანაში კრებებისა და დემონსტრაციების თავისუფლების კონსტიტუციური დებულებების რეალიზაციის საკითხებს არეგულირებენ საერთოეროვნული კანონები. მანიფესტაციების უფლების გამოყენება თითქმის ყველგან მოითხოვს ხელისუფალთა წინასწარ გაფრთხილებას, რომლებსაც შეუძლიათ მოქალაქეთა ჯგუფური გამოსვლები სხვადასხვა საბაბით აკრძალონ. მეტ წილ ქვეყნებში სავალდებულოა მიტინგს ესწრებოდეს ხელისუფლების წარმომადგენელი, ჩვეულებ გამოუყენებიათ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ 1955 წელს მიიღეს კანონი აკრძალული ზონის შესახებ, მითითებულია ადგილები, სადაც არ შეიძლება მიტინგების, კრებების, ქუჩის მსვლელობებისა და მანიფესტაციების მოწყობა. ანალოგიური კანონი აქვთ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებსაც.

—მიუხედავად ამისა, ჩვენში დადგინდა მიტინგების, კრებების, ქუჩის მსვლელობებისა და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და მოწყობის არა სარეგისტრაციო, არამედ ნებადართული წესი. მიზეზი?

— ამის შესახებ, ჩემი აზრით, მეტად დასაბუთებულად ითქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბოლო სესიაზე, რომელმაც დაამტკიცა ბრძანებულება. თუ გახსოვთ, ერთ-ერთი გამოსვლის დროს დაახლოებით ასეთი რამ ითქვა: კარგად არის ცნობილი შემთხვევები, როცა სახელმწიფო ორგანოების წაყრუებით, რომლებმაც ვერ შეძლეს აქტიურად და ქმედითად აღეკვეთათ წინ ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებს, მოვლენები დრამატულად მთავრდებოდა. საკმარისია გავიხსენოთ სუმგაითის ტრაგედია, ალმა-ათის, ყაზანის, ზოგიერთი სხვა ადგილების მოვლენები.

— როგორ გგონიათ, კრებებისა და მიტინგების ორგანიზაციისა და მოწყობის შესახებ ბრძანებულებამ უკვე მიიღო დასრულებული სახე?

— მარადიული კანონები არ არსებობს. არის მხოლოდ მარადიული და უდავო იურიდიული აქსიომები. სიტყვამ მოიტანა და აი ერთ-ერთი მათგანი: კანონს პატივი უნდა ვცეთ. რომაელების ეს ფორმულა, რომელიც აქტუალურია ყველა დროს, ბუნებრივია იმ ნორმაზეც ვრცელდება, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ. სამართალი ყოველთვის ასახავს საზოგადოების პოლიტიკური და იურიდიული კულტურის, საზოგადოების დემოკრატიზაციის დონეს. ვფიქრობ, რომ ახლა ეს კანონი საჭიროა სწორედ მისი ახლანდელი სახით. რაც შეეხება პერსპექტივას — მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვიტანთ სათანადო დასკვნებს გარდაქმნის გაკვეთილებიდან, როცა გვექნება კანონისადმი საყოველთაო პატივისცემის გარანტიები, დემოკრატიზაციის გაღრმავების პროცესში სამართლებრივმა ნორმამ შეიძლება სახე იცვალოს. მაგრამ დღეს, ვიმეორებ, კანონი შესაბამება საზოგადოებრივი ცხოვრების რეალურ ვითარებას. მისი განუხრელი დაცვა უაღრესად საჭიროა.

უცხოეთში
საკდესი იუწყება
11 ნოემბერი

მუშათა გავლენის გაძლიერება უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა

ვარშავა. პარტიის მუშური ხასიათის განმტკიცება, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუშათა გავლენის გაძლიერება უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა პარტიულ მუშაობაში. ეს ხაზგასმით აღინიშნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ, რომელმაც მორიგ სხდომაზე განიხილა სრულიად პოლონეთის მუშათა აქტივის თათბირისა და ქვეყნის უდიდეს საწარმოთა სახარხნო პარტიული კომიტეტების მდივნების შეხვედრის შედეგები.

პარტია ხელს შეუწყობს სეიმში, სახალხო საბჭოებში, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა არჩევითს ორგანოებში მუშათა ფართო წარმომადგენლობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მუშათა გარემოში პარტიული მუშაობის პრობლემებს, უნდა გააანალიზდეს პარტიაში, განსაკუთრებით მუშათა შორის კონსულტაციების პრინციპებისა და მეთოდების შესახებ გადაწყვეტილებათა შესრულება. საწარმოებსა და დაწესებულებებში უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანთა ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად დაედება ურთიერთპატივისცემა, ღირსების გრძნობა, საერთო ცხოვრების კულტურა და ამავე დროს დიდი მოთხოვნილება და პროფესიული კომპეტენცია. ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა შრომითი კოლექტივები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი საწარმოთა მდგომარეობის, მათი პრობლემებისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

სრულიად პოლონეთის მუშათა აქტივის თათბირზე გამოსვლებმა, რომელიც იყო მუშათა წარმომადგენლობითი ფორუმი, ნათქვამის ცნობაში, შექმნეს ყოველმხრივი წარმოდგენა ყველაზე დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებზე მუშათა თვალსაზრისის შესახებ. მკვეთრად გააკრიტიკეს ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური სიტუაცია და გამოთქვეს უკმაყოფილება ცვლილებათა შედეგების გამო. თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს „მრგვალ მაგიდასთან" დისკუსიების იდეა. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომპრომისი შეუძლებელია ეკონომიკის მოწესრიგების შესახებ რეფორმებსა და გაბედულ გადაწყვეტილებებზე უარის თქმის ფასად. გამოითქვა აგრეთვე საერთო რწმენა, რომ ახლა საწარმოებში უნდა მოქმედებდეს ერთი ძლიერი პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებელი და კარგახსნილი იქნება ყველა მშრომელისათვის.

55 დემოკრატი და 45 რესპუბლიკელი

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული არჩევნების საბოლოო შედეგები

ვაშინგტონი. მხოლოდ ხუთშაბათს გახდა ცნობილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესსა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩევნების საბოლოო შედეგები. 55:45 — ასეთი იქნება დემოკრატთა და რესპუბლიკელთა ძალთა ბალანსი ამერიკის 101-ე მოწვევის კონგრესის სენატში.

წარმომადგენელთა პალატაში 262 დემოკრატი და 173 რესპუბლიკელი იქნება. პროგნოზების საწინააღმდეგოდ დემოკრატებს წარმატება ხვდათ გუბერნატორთა არჩევნებშიც. ახლა ქვეყანაში 28 გუბერნატორი დემოკრატია და 22 — რესპუბლიკელი.

პრეზიდენტის არჩევნები აღინიშნა ამერიკელ ამომრჩეველთა მონაწილეობის დაბალი დონით. ოფიციალური მონაცემებით, საარჩევნო უბნებში მოვიდა 90 მილიონამდე კაცი ხმის უფლების მქონე 182 მილიონიდან. ეს რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია ბოლო 54 წელიწადში.

ამერიკელ ამომრჩეველთა აპათიის მიზეზებს რომ აანალიზებს, „ფილადელფია ინკუაირერი" აღნიშნავს, რომ ვერც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა ჯ. ბუშმა და ვერც მისმა მეტოქემ დემოკრატმა გუბერნატორმა მ. დუკაკისმა საარჩევნო კამპანიის დროს ვერ წამოაყენეს მკაფიო პოლიტიკური პროგრამა. როგორც ამერიკელ ამომრჩეველთა აზრის შემსწავლელი კომიტეტის დირექტორმა კერტის გენსმა განაცხადა, „ხმის მიმცემთა უპრეცედენტოდ დიდმა რაოდენობამ აღიარა, რომ არც ერთი კანდიდატი არ მოსწონს". ეს მნიშვნელოვანწილად განაპირობა ურთიერთთავდასხმებმა და ბრალდებებმა, რომლებიც ერთმანეთს დაატეხეს თავს ბუშმა და დუკაკისმა პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლაში.

შემთხვევითი არ არის, რომ, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, ახლანდელი საარჩევნო კამპანია ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი „ყველაზე ნეგატიური".

◆ ჩინეთი

შეიქმნა კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი

პეკინი. დედაქალაქის გაზეთები ფართოდ აშუქებენ იმ ფაქტს, რომ პეკინის სახალხო მთავრობასთან შეიქმნა კორუფციასთან ბრძოლის საქალაქო ცენტრი „კავშირგაბმულობის ცხელი ხაზი". ახალი ცენტრის მთავარი ამოცანაა „გააძლიეროს თანამდებობის პირთა საქმიანობისადმი დემოკრატიული კონტროლი".

როგორც ცენტრის დირექტორმა ხე იუნსიმ განაცხადა, ნებისმიერ მოქალაქეს, რომლისთვისაც ცნობილი გახდება მექრთამეობის, სპეკულაციის, თანამდებობის ბოროტად გამოყენების და სხვა სამართალსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტები, შეუძლია დაუკავშირდეს ცენტრს და აცნობოს ისინი.

ყველა საჩივარი, აღნიშნა დირექტორმა, დადასტურებული უნდა იყოს ფაქტებით, ჭორები და ყურმოკრული ინფორმაცია დაუშვებელია. ცენტრის კომპეტენციაში შედის მოსახლეობიდან შემოსული სიგნალების ყოველმხრივი შემოწმება. წლის განმავლობაში ასეთი საკონტროლო ორგანოები, რომელთა საქმიანობამაც ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმას თანამდებობის პირთა შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, პეკინის ყველა რაიონში გაიხსნება.

◆ ბელგია

ხელი მოაწერეს ქარტიას

ბრიუსელი. ცნობილმა იტალიელმა კინომსახიობმა მარჩელო მასტროიანიმ ევროპის წამყვან კინემატოგრაფისტებს მოუწოდა იბრძოლონ ევროპაში ამერიკის მასობრივი კულტურის სულ უფრო მზარდი შეჭრის წინააღმდეგ.

„შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია, როცა ჩვენ, მსახიობებმა, უნდა ვილაპარაკოთ უცხო ენაზე, რათა როგორმე უზრუნველვყოთ ჩვენი ფილმების კონკურენტუნარიანობა", — განაცხადა მან აქ ეგრეთ წოდებული ევროპის აუდიოვიზუალური ქარტიის წარდგენის გამო გამართულ პრესკონფერენციაზე.

ქარტია, რომელსაც ხელი მოაწერეს ევროპის 25 ქვეყნის წამყვანმა მსახიობებმა, რეჟისორებმა, მწერლებმა და კულტურის სხვა მოღვაწეებმა, ამ ქვეყნების მთავრობებსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებს მოუწოდებს გააძლიერონ ეროვნულ კინემატოგრაფისტთა მხარდაჭერა.

ეკოლოგია

საჭიროა თანამშრომლობა

ჰამბურგი. ხანამ გარემოში ნეგატიურ ცვლილებებს კატასტროფული ხასიათი არ შეუძენია, უნდა განხორციელდეს პლანეტაზე ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი.

უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა შევიმუშაოთ სახელმწიფოთა ქცევის სავალდებულო პრინციპები და ნორმები, განვსაზღვროთ ეკოლოგიურ სფეროში მათი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებანი. ასეთია ჰამბურგში დამთავრებული საერთაშორისო კონგრესის „კლიმატი და განვითარება" მონაწილეთა აზრი. კონგრესში მონაწილეობდნენ 52 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, მთელი რიგი სხვა ორგანიზაციების მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწენი, საქმიანი წრეების წარმომადგენლები. მათ განიხილეს პლანეტის სხვადასხვა რეგიონში კლიმატურ ცვლილებებთან და ბუნებაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე მათ ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები.

ფოტოკალეიდოსკოპი

230 საათის დაძაბული შრომა დასჭირდა დიუსელდორფის 45 წლის მცხოვრებს ვოლკმარ კოხს ასეთი „ფეხსაცმელსიპედის" შესაქმნელად. ჩვეულებრივი ბორბლების ნაცვლად კოხის გამოგონებას აქვს 6 წყვილი სპორტული ტიპის ფეხსაცმელი. მაქსიმალური სიჩქარე, რომელიც ავტორმა თავისი „ფეხსაცმელსიპედით" განავითარა, საათში 19 კილომეტრი იყო. გამომგონებლის აზრით, მის მიერ შექმნილი ახალი ტიპის ველოსიპედის მთავარი უპირატესობა ის არის, რომ მას არ სჭირდება გახვრეტილი საბურავების შეცვლა.

სურათზე: კოხი და მისი „ფეხსაცმელსიპედი".

რას არ მიაღწევს კაცი შეუპოვარი შრომით.

თუნდაც იმას, რომ ცხენს მომთვინიერებლის სურვილით ადგილზე ხტომა ასწავლო, რაც ნაჩვენები იყო ესპანეთში პალმა-დე-მალიორკის ცხენოსნობის სამეფო სკოლაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ბუდაპეშტი.** უნგრეთში გაიხსნა პოლიტიკური ლიტერატურის ტრადიციული დღეები. ქვეყნის გამომცემლობებმა მოამზადეს დაახლოებით ნახევარი მილიონი საერთო ტირაჟის 30-ზე მეტი ახალი წიგნი. მათ შორის არის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა, უნგრეთის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა კრებულები, მიმდინარე წლის მაისში გამართული სრულიად უნგრეთის პარტიული კონფერენციის მასალების მეორე ტომი.

● **ვაშინგტონი.** გადადგომა გადაწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების მინისტრმა ედვარდ ოლდრიჯმა, რომელმაც განაცხადა, რომ თავის პოსტს დასტოვებს 16 დეკემბერს, რათა სათავეში ჩაუდგეს სამხედრო-სამრეწველო კორპორაციის „მაკდონელ დუგლასის" ახალ ფილიალს.

● **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის საზოგადოებრიობის პროტესტი გამოიწვია იმან, რომ რიო-დე-ჟანეიროს ნავსადგურში შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ „უნიდას-88" სამხედრო-საზღვაო მანევრების მორიგ ეტაპში. ამერიკის ესკადრის შემადგენლობაშია ატომური წყალქვეშა ნავი „შარკი".

„ღამის სამზირის" საიდუმლო

თბილისში გამოსვლა ვერც კი მოასწრო რუსულ ენაზე ა. დიუმას წიგნის „კავკასიის" პირველმა სრულმა გამოცემამ, რომ უკვე გაჩნდა მისი სალიტერატურათმცოდნეო კომენტარების ახალი ფაქტებით შევსების საჭიროება. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში მოძიებულმა მასალამ დაადასტურა წიგნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპიზოდის სარწმუნოობა. ნაპოვნია კაზაკ იგნატიევის, ერთი იმათგანის პორტრეტი, ვისთან ერთადაც ფრანგი რომანისტი წავიდა „ღამის სამზირში" და მთიელებთან შეტაკებაშიც კი მოხვდა.

— დიუმაზე, როგორც უსაზღვრო ფანტაზიორზე წარმოდგენა ჯერ კიდევ მის თანამედროვეებს შეექმნათ, — თქვა ლიტერატურათმცოდნემ მიხეილ ბუიანოვმა, რომელმაც მოამზადა წიგნი, — კერძოდ, თ. დოსტოევსკი საკმაოდ სკეპტიკურად აფასებდა ერთ-ერთ თავის სტატიაში „ღამის სამზირთან" დაკავშირებულ ამბავს. ახლა უეჭველია, რომ მოგზაურობის შესახებ ნაამბობში დიუმა იყო არა რომანისტი, არამედ მკაცრი დოკუმენტალისტი.

დიუმას მიერ ნახსენები ამბის სამი მონაწილიდან ორის რეალურობის დამტკიცების საშუალება მოგვცა ძიებამ მოსკოვის არქივებსა და მუზეუმებში. მესამე პერსონაჟის დოკუმენტური „კვალი" მიგნებულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ნახატი, რომელიც ზუსტად შეესაბამება „კავკასიაში" აღწერილს, აღმოაჩინეს მუზეუმის საცავებში, გერმანელი მხატვრის ტ. გორშელტის ალბომში, რომელიც არასდროს არ გამოქვეყნებულა. მხატვარს კავკასიაში დიუმას ყოფნის დროს უმოგზაურია.

თბილისში, სადაც ფრანგმა რომანისტმა თვე-ნახევარი გაატარა და, როგორც აღიარა, განსაკუთრებით კარგად მუშაობდა, აპირებენ შექმნან დიუმას მუზეუმი. მუზეუმს საფუძვლად დაედება ფოტოსურათების, წიგნების, დოკუმენტების შენარჩევი, რომელიც მ. ბუიანოვმა საჩუქრად გადასცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს. სხვათა შორის, იგი შეიცავს არქივებში ნაპოვნ ჟანდარმთა პატაკებს. რუსეთში მოგზაურობის დროს ხომ დიუმას თვალყურს ადევნებდნენ. იმის დასტური არა გვაქვს, რომ მწერალს თვალყურს ადევნებდნენ კავკასიაში ყოფნის პერიოდშიც. ზოგიერთი რელიქვია შემორჩათ იმ ოჯახების შთამომავალთ, რომლებსაც დიუმა სტუმრებია საქართველოში ყოფნის ჟამს.

— ექსპოზიცია ჩაფიქრებული გვაქვს უფრო ფართო, ვიდრე ერთი მწერლის მუზეუმისთვის არის საჭირო, — თქვა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა გ. ჟორჟოლიანმა. — ჩვენი ფონდების მასალები საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ საქართველო-საფრანგეთის კულტურული კავშირურთიერთობის ისტორიული სურათი. იმედი გვაქვს, რომ მუზეუმისათვის შენობას საქალაქო საბჭოს აღმასკომი გამოგვიყოფს ძველ ქალაქში, რომლითაც ასე აღფრთოვანებული იყო დიუმა. კარგი იქნებოდა მუზეუმი გაგვეხსნა მომავალ წელს, რომელიც ბასტილიის აღების 200 წლისთავთან დაკავშირებით იუნესკომ ფრანგული კულტურის წლად გამოაცხადა.

(საქინფორმი).

საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადა

დღეს სალონიკში...

დღეს არის დამთავრდა ერთი დიდი საჭადრაკო შეჯიბრება-მატჩი მსოფლიო პირველობაზე. დღეს კი იწყება საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელსაც საბერძნეთის ქალაქი სალონიკი მასპინძლობს.

საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადები ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ამ ათიოდე წლის წინათ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ვაჟთა და ქალთა ოლიმპიადების ერთდროულად, ერთ ქვეყანაში ჩატარების შესახებ. შეიცვალა შეჯიბრების დებულებაც, რომელიც ახლა (მონაწილეთა რაოდენობის მკვეთრად გაზრდის გამო) შვეიცარული სისტემით იმართება (14 ტური). ისიც გავიხსენოთ, რომ ვაჟთა გუნდში 6 წევრია (4 ძირითადი და 2 სათადარიგო), ქალთა გუნდში — 4 (3 ძირითადი და 1 სათადარიგო).

ვაჟთა ოლიმპიადებზე, ისევე როგორც ყოველთვის (1952 წლიდან მოყოლებული) პირველი ადგილის მთავარ პრეტენდენტად საბჭოთა ნაკრები ითვლება. ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა ორი წლის წინათაც, მაგრამ დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ. ამის მიზეზად მაშინ სამართლიანად მიიჩნიეს დიდოსტატ ანდრეი სოკოლოვის სუსტი თამაში. ამიტომ საკავშირო საჭადრაკო ფედერაციამ საჭიროდ მიიჩნია ნაკრების გადახალისება, რომლის შემადგენლობაში ახლა გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, არტურ იუსუპოვი, იან ელვესტი, ალექსანდრე ბელიავსკი და ვასილ ივანჩუკი.

ინგლისის ნაკრები ბოლო ოლიმპიადაზე ზედიზედ ორჯერ გამოვიდა მეორე ადგილზე. ამიტომ ამ ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამ შემადგენლობა თითქმის უცვლელი დატოვა. აქ გამოდიან მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი სპილმენი, შორტი, ნანი, ჩანდლერი, მესტელი და უოტსონი. მოხდა გადაადგილება პირველ ორ დაფაზე; შორტმა ლიდერობა დაუთმო სპილმენს, რომელთანაც აგვისტოში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალურ მატჩში დამარცხდა.

დიდი ცვლილებებია აშშ-ს ნაკრებში, რომელიც ბოლო ორ ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა. ამჯერად აქ ითამაშებენ სეირავანი, გულკო, ბენჯამინი, კრისტიანსენი, კუდრინი და როდი. უნგრელებმა ასეთი განაცხადი წარადგინეს: პორტიში, რიბლი, საქსი, პინტერი, ადორიანი, ჩომი. ჰოლანდიის გუნდში ამჯერად რატომღაც არ არის ამ ქვეყნის უძლიერესი ჭოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ტიმანი. ამ გუნდში ითამაშებენ ვან დერ ვილი, სოსონკო, ვან დერ სტრენი, პიკეტი, კუიფერი და დუვენი. ძლიერი გუნდი გამოჰყავს იუგოსლავიას: ლიუბოევიჩი, ნიკოლიჩი, პოპოვიჩი, ველიმიროვიჩი, კოვაჩევიჩი და სოკოლოვი. შვეციის გუნდში პირველ დაფაზე ითამაშებს ანდერსონი. ბულგარეთის გუნდს უხელმძღვანელებს გეორგიევი, საფრანგეთის ნაკრებს — მსოფლიოს ექსჩემპიონი სპასკი, ისლანდიელებს — მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ჰიარტარსონი, არგენტინელებს — პანო და ა. შ.

ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს ქალთა ოლიმპიადა, ვარაუდობენ რომ საბჭოთა ნაკრებს, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ხელმძღვანელობს, პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება. ასე იყო ორი წლის წინ. დუბაიში, ასე იყო 1984 წელს სალონიკშიც. უნგრელებს ამჯერად 20 წლის ჟუჟა პოლგარი უხელმძღვანელებს, რომელმაც პირველ დაფაზე ამ ქვეყნის ნაკრების მრავალწლიანი ლიდერი ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი შეცვალა. აქამდე, როგორც ცნობილია, პოლგარი ქალთა შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა. ახლა კი, როგორც ჩანს, უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციის დაჟინებულ მოთხოვნას უსმინა. შვეციის ნაკრებში გამოდის პია კრამლინგი, რომელიც ძირითადად ასევე ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობით არის ცნობილი, თუმცა ზოგჯერ ქალებთანაც თამაშობს. პოლონეთის ნაკრებს გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — აგნეშკა ბრუსტმანი, რომლის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა წყალტუბოში. რუმინელების გუნდში პირველ დაფაზე ითამაშებს ჩვენთვის კარგად ცნობილი მარგარეტ მურეშანი, ბულგარეთის გუნდში — მარგარიტა ვოისკა... საერთოდ, ქალთა შეჯიბრება იმით ხასიათდება, რომ დაფების მცირე რაოდენობის გამო (სულ სამი დაფაა) შემთხვევითი შედეგების რაოდენობა შედარებით დიდია. არის ერთი გარემოებაც, რომელიც აცხოველებს ინტერესს ქალების შეჯიბრებისადმი. საქმე ისაა, რომ ქალთა შორისაც განზრახულია მსოფლიო თასის ისეთივე შეჯიბრების დაწესება, როგორიც ეს ვაჟებთანაა. რაც შეეხება ამ თასის მონაწილეების შერჩევას, აქ, რა თქმა უნდა, სალონიკის ოლიმპიადის შედეგებიც იქნება გათვალისწინებული.

მაშ, ასე, დაველოდოთ შედეგებს სალონიკიდან...

ბიჭი ბამრეკელი.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი



ფრთები, ფრთები მინდა!..
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მართლწესრიგი

„სამედიატორო" სასამართლო

გვიან საღამოს გორის მახლობლად ერთმანეთს შეეჯახა ორი ავტომობილი. როცა შემთხვევის ადგილას მივიდნენ სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები, მათ დაინახეს გზისპირას ძლიერ დაზიანებული „ვოლგა" და „ჟიგული", რომლის მძღოლს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დეტალების აღდგენა შესაძლებელი იყო მხოლოდ „ვოლგის" მფლობელის სიტყვებით. იგი ამტკიცებდა, რომ მცირე სიჩქარით მოძრაობისას მის ავტომობილს უეცრად აეხადა კაპოტი, და ამან აიძულა მძღოლი მანქანა გზისპირზე გადაეყვანა. და სწორედ ამ დროს „ვოლგას" დაეჯახა „ჟიგული", რომელიც დარტყმამ გვერდზე გადააგდო.

რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის მიერ განხორციელებულმა საექსპერტო გამოკვლევამ დაადასტურა „ვოლგის" მძღოლის ვერსია. მაგრამ ამ ვერსიამ ვერ დააკმაყოფილა გორის რაიონის პროკურატურა. საქმე ორ წელიწადს გაჭიანურდა. მისი გადაწყვეტის ერთადერთ შესაძლებლობად რჩებოდა დასახმარებლად მოეწვიათ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები. მაგრამ ამისათვის საჭირო იქნებოდა საქმის რამდენიმე ტომი რუსულად ეთარგმნათ. ისევ დროის დანაკარგი, დამატებითი ხარჯები...

მაგრამ გამოძიებამ მოულოდნელი დახმარება მიიღო. სამუშაოს ხელი მოჰკიდეს თბილისში კოოპერაციულ საფუძველზე შექმნილი კრიმინალისტური გამოძიების ბიუროს სპეციალისტებმა.

— ჩვენ გულმოდგინედ შევისწავლეთ ეს საქმე, — თქვა ბიუროს თანამშრომელმა შ. ალავიძემ. — რამდენჯერმე გავედით ავარიის ადგილას, ჩვენი სპეციალისტების მიერ გამოტანილი დასკვნები ვერ ეთანხმება „ვოლგის" მძღოლის ვერსიას. რას ვემყარებოდით? ჯერ ერთი, გავითვალისწინეთ კაპოტის კლიტის მოწყობილობა, და დავრწმუნდით, რომ გამორიცხულია მისი თავისთავად გაღება, მეორეც, ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები შემთხვევის სრულიად განსხვავებულ სურათს გვიქმნიან: „ვოლგის" მძღოლმა დიდი სიჩქარით გადაკვეთა ღერძული ხაზი (ამის მიზეზი მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ) და შეეჯახა „ჟიგულს". აი, ამ ძლიერი დარტყმის შემდეგ ავტომანქანები ნამდვილად სხვადასხვა მხარეს გადაეარდა. ამჟამად მასალები სასამართლოშია, ველით მის გადაწყვეტილებას.

ექსპერტ-კრიმინალისტთა აქტივში უკვე არის მრავალი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წარმატებით განხორციელებული გამოძიება. მათი მუშაობის მთავარი პრინციპია მიუკერძოებლობა. აქ ძალზე უფრთხილდებიან საკუთარ რეპუტაციას, კლიენტების ნდობას. გამოძიებისა და სასამართლოს დავალებით ბიუროს სპეციალისტები მონაწილეობენ სადავო ექსპერტიზებში. მათ შეუძლიათ გამოიმუშაონ გზების ოპტიმალური მოწყობის რეკომენდაციები, რაც უსაფრთხო მოძრაობის გარანტიას იძლევა, შემოგვთავაზონ ტექნიკური აღჭურვილობის დამატებითი საშუალებებიც, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ცალკეული კვანძები, რომლებიც უფრო ეფექტიანს ხდის საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლოატაციას. ბიუროში მხარს დაუჭერენ ავტომობილებისა და მოძრაობის სხვა საშუალებების თვითმოქმედ კონსტრუქტორებს. აღსანიშნავია, რომ ბიუროს მიერ გაწეული მომსახურება 20 პროცენტით უფრო იაფია, ვიდრე ანალოგიურ სახელმწიფო დაწესებულებებში. ექსპერტები მზად არიან იკისრონ შუამავლის როლი ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს შორის სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაში.

— გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის პროცესში პრინციპული უწყებრივი დავისას, — თქვა კოოპერატივის თავმჯდომარემ გ. გიგაურმა, — რომლებიც შეიცავენ ავტოტექნიკურ, სატრანსპორტო-ტრასოლოგიურ და სხვა საექსპერტო გამოკვლევებს, ყოველთვის სასურველია იყოს ისეთი ორგანო, რომელიც არ არის უწყებრივად დაქვემდებარებული, ასე ვთქვათ, სამედიატორო სასამართლო. ჩვენი ბიურო აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. ჩვენთან მომუშავე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს აქვთ საჭირო სპეციალური ცოდნა, პრაქტიკული საქმიანობის დიდი გამოცდილება და მთლიანად აგებენ პასუხს კანონის წინაშე.

(საქინფორმი).

სპორტი

„ხონი"-88 — მეორე ადგილზე

ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი ფეხბურთელები ტრადიციულად კარგად გამოდიან საკავშირო შეჯიბრებებში. ამ დღეებში აშხაბადში გამართულ „ტყავის ბურთის" პრიზის საკავშირო გათამაშებაში წარმატებით იასპარეზა წულუკიძის რაიონის ბავშვთა გუნდმა — „ხონი-88"-მ. წულუკიძელმა ფეხბურთელებმა დამაჯერებლად მოიგეს წინასწარი შეხვედრები და ფინალში გავიდნენ. აქ მათი მეტოქე იყო სომხეთის ქალაქ სევანის „ახტამარი". ამ გუნდების გადამწყვეტი მატჩი სევანელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5:3. „ხონი-88" მეორე პრიზით დაჯილდოვდა. ეს იყო რიგით 24-ე შეჯიბრება, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა. ტურნირის მთავარმა მსაჯმა ს. სალმანმა აღნიშნა მონაწილე გუნდების დახვეწილი ოსტატობა, განსაკუთრებით კი გამოყო ფინალისტები.

სატურნირო ორბიტა

ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა გფრ-ში გამართა სამპარტიიანი მატჩი ცნობილ დასავლეთგერმანელ დიდოსტატთან ვლასტიმილ ჰორტთან. ამ პაექრობის ორგანიზატორი იყო გფრ-ის ცნობილი ფირმა „ჰიმელსრაიხი". ანგარიშით 2,5:0,5 გაიმარჯვა გარი კასპაროვმა. როგორც მატჩის დამთავრების შემდეგ გამოცხადდა, გამარჯვებული პრიზის სახით მიიღებს 50 ათას მარკად ღირებულ მსუბუქ ავტომანქანას.

ქუთაისში დამთავრდა ცნობილი ქართველი საჭადრაკო მოღვაწის ვახტანგ ქარსელაძის ტრადიციული საკავშირო მემორიალი. 13 შესაძლებლობიდან 9 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა ერევნელმა ოსტატმა აშოტ ანასტასიანმა.

ცხენოსნობა. ოჩამჩირეში დამთავრდა საქართველოს მოროგი ჩემპიონატი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. წარმატებით იასპარეზეს გაგრელმა სპორტსმენებმა, რომლებიც უძლიერესნი იყვნენ ისინდსა და ცხენბურთში. 2 და 6 კილომეტრზე დოღში გაიმარჯვა ასევე გაგრელმა ცხენოსანმა იგორ ქარდიამ.

საერთო ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავა ოჩამჩირელთა გუნდმა, მესამე იყო გუდაუთის ნაკრები.

1988 წლის 25 ნოემბერს, 14 საათზე, მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება, რომელზეც განიხილავენ აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მისანიჭებლად წარმოდგენილ ნაშრომებს: 1. თ. ჭილურაძე — „ქვემო ქართლის ნეოლითური ნამოსახლარები, საქართველო". 2. გ. მამულია — „პატრონყმობა; 3. მ. როდე — „საქართველოს მფრინავი ქალები".

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას.

კრება გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის გამზირი, № 52, V სართული, ოთახი 514).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი

14 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პოემა სიყვარულზე". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ფიზიკაში. 14.15 — დოკუმენტური ფილმი „გოგონებზე და მათ მწვრთნელზე" (პირველი ჩვენება). 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „კაცი-ამნე". 16.10 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 16.55 — მოსწავლეთათვის. საქართველოს ისტორია. 17.25 — „ჩვენი სადისკუსიო კლუბი" (განმეორებით). 18.00 — ბავშვებს ცხოველების შესახებ (გადაცემა ლენინგრადიდან). 18.30 — ქართული დოკუმენტური ფილმი „პოლიკარპე კაკაბაძე. 18.50 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ყურადღება, საწარმოში ახალბედაა!". 19.25 — საერთაშორისო დღიური. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 21.00 — „მეგობრობა გზად და ხიდად". 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — დოკუმენტური ფილმის ეკრანი. პრემიერა ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისა „დონ-კიხოტის შესახვედრად. რეზო ჩხეიძე" (საქართველოს ტელეფილმების სტუდიის ნაწარმოები ცენტრალური ტელევიზიით). 23.45 — კამერული მუსიკის კონცერტი.

მეორე პროგრამა. 17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების ეკრანი. 18.15 — მხატვრული ფილმი „შჩორსი". 20.00 — მოამბე. 20.35 — მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია ტრესტი". პირველი სერია.

სამშაბათი

15 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 12.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბათუ კრავეიშვილი". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 14.15 — ათლეტიზმი. 14.40 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.10 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 15.45 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.55 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 17.35 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.50 — ლიტერატურული გადაცემა „ძველი ქართველი ქალი" (განმეორებით). 18.40 — განცხადებები. 18.45 — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელებისათვის. 19.35 — განვიხილავთ კანონთა პროექტებს. 19.55 — მოამბე. 20.30 — „რეზონანსი" პასუხობს (მ.). 20.50 — „ახალგაზრდული ქართული კინო". ნანა ჯორჯაძე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 23.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: კიევის „დინამო" — თბილისის „დინამო". 14 ნოემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. 24.00 — სატელევიზიო ხიდი კიევი-ბირმინგემი (მ.).

მეორე პროგრამა. 17.30 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა". 17.40 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 18.10 — მხატვრული ფილმი — „უკანასკნელი ორიანი" (ქართულ ენაზე). 19.10 — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია. 19.55 — მოამბე. 20.30 — მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია ტრესტი". მეორე სერია.

ოთხშაბათი

16 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საწნახელი". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში". სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. „მირნი". 14.45 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 15.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ამის შესაძლებლობაც არის". 15.40 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.50 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 16.20 — „მსოფლიოს ესტრადის ვარსკვლავები" (განმეორებით). 17.20 — დოკუმენტური ფილმი „იარა". 18.10 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი". 18.55 — „შეხვედრა კომპოზიტორთან". შალვა დავიდოვი (განმეორებით). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი ენა ქართული". განვიხილავთ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტს. 21.00 — ფეხბურთში მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩი: ჩეხოსლოვაკიისა და ბელგიის ნაკრები გუნდები. ტრანსლაცია ჩეხოსლოვაკიიდან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — სატელევიზიო ფილმების პირველი საერთაშორისო ფესტივალის „ოქროს საწმისის" ეკრანი — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დიოდორიმი" (ბრაზილია). 24.00 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პ. ბურჭულაძე (მ.).

მეორე პროგრამა. 17.35 — მხატვრული ფილმი „ნუ დაუგებ ეშმაკს მახეს". 18.50 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია ტრესტი". მესამე სერია.

ხუთშაბათი

17 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ძველი თბილისის სურათები". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 14.15 — „ათლეტიზმი". 14.40 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 15.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „სპეციალური დამუშავების პუნქტი". 15.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.45 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.15 — დოკუმენტური ფილმი „პური და მარილი" (პირველი ჩვენება). 17.05 — „ჯადოსნური ეკრანი". 17.20 — ხალხური შემოქმედება — ილექსე, ჩემო ფანდურო! (განმეორებით). 18.00 — დოკუმენტური ფილმი „ნემსი" (ფილმი ნარკომანიაზე). 18.30 — „გარდაქმნის წახნაგები" (ახმეტის რაიონის პრობლემები). 19.10 — განცხადებები. 19.15 — „ზრუნვა". 20.00 — მოამბე. 20.35 — „პრობლემა ჩვენს გვერდით". 20.45 — წერილის დღე. 20.50 — შემოქმედებითი პორტრეტები. ზაქარია ამონაშვილი. 21.55 — წერილის დღე. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გარდაქმნის პროჟექტორი". 22.50 — პირველად ჩვენს ეკრანზე. ქართული მხატვრული ფილმი „მეგლუდი".

მეორე პროგრამა. 17.40 — მხატვრული ფილმი „რამდენიმე დღე ობლომოვის ცხოვრებიდან". პირველი და მეორე სერია. 20.00 — მოამბე. 20.35 — მრავალსერიიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია ტრესტი". მეოთხე სერია.

პარასკევი

18 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 12.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჯავის ხეობა". 13.00 — „ნაშუადღევს". 13.45 — ფიზიკის ტელეკურსი. 14.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „33 საუკუნის შემდეგ". 14.50 — დოკუმენტური ფილმი „სამოქალაქო თავდაცვის ძალები — სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლაში". 15.20 — ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჭიანჭველას თავგადასავალი" (პირველი ჩვენება). 15.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.40 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 16.10 — ქართული დოკუმენტური ფილმები „აჩქარება" და „მონოლოგი". 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია. 17.30 — „60 წუთი ესტრადის მოყვარულთათვის" (განმეორებით). 18.30 — მოსწავლეთათვის. „შეხვედრა კლავესინთან". 19.10 — განცხადებები. 19.15 — „რწმენითა და სიმართლით" (წითელი ჯვრის და ნახევარმთვარის საზოგადოების საერთაშორისო მოძრაობის 125 წლისთავის გამო). 20.00 — მოამბე. 20.35 — „ქართული დამწერლობა" (გადაცემა მეექვსე). 21.35 — კონცერტი. 21.55 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია". 23.00 — „ახალგაზრდული პრესის ფესტივალი". 0.15 — „ვზგლიადი" საღამოს საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა (მ).

მეორე პროგრამა. 17.55 — მხატვრული ფილმი „სანამ საათი რეკავს". 19.10 — დოკუმენტური ფილმი — „ურალელი ჩეკისტები" (სამოქალაქო ომის წლები, პირველი ჩვენება). 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხულის სამი დღე".

შაბათი

19 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი" (მ.). 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 10.00 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „დირიჟაბლის დაბრუნება". 10.45 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.15 — დიალოგი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. 12.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.30 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი „მეგობრობის ეკრანი" (ოდესის ტელევიზიის პროგრამა). 13.45 — „დღეს სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეა" (მ.). 14.00 — „ათლეტიზმი". 14.25 — ხალხური შემოქმედება. „უკრავს ანსამბლი „საუნჯე" (განმეორებით). 15.00 — „ყველასათვის და თითოეულისათვის" (მ.). 15.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.35 — საინფორმაციო გამოშვება. 15.45 — მოსწავლეთათვის. „მხიარული შეჯიბრება". 16.40 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.25 — „ჩვენ ვსწავლობთ ქართულ ენას". 18.10 — „ილუზიონი". 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები — „აქტუალური ეკრანი" (გამოხმაურება). 22.00 — „ვრემია". 23.00 — „შაბათ საღამოს!" — შეხვედრა ვ. კიკაბიძესთან (მ.).

კვირა

20 ნოემბერი

პირველი პროგრამა. 10.10 — „დილა მშვიდობისა!". საკვირაო მუსიკალურ-გასართობი პროგრამა. 11.00 — XIX საკავშირო პარტკონფერენცია. გარდაქმნის რეალიზმი — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — საკვირაო გამოფენა. 11.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 12.05 — კინოაფიშა. 12.35 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 13.05 — საკვირაო გამოფენა. 13.10 — ამბავი ნამდვილი ადამიანისა — მხატვრული ფილმი „მიხმე ნათელ შორეთში". 14.50 — საკვირაო გამოფენა. 14.55 — ვესტნიკი. 15.35 — „თეატრალური ფოსტა" (განმეორებით). 16.35 — „ჯანმრთელობა". სატელევიზიო ჟურნალი. 17.05 — ახალგაზრდობისათვის — „1+1". 18.20 — „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს" (გადაცემა მეექვსე). 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — „ჯადოსნური ეკრანი". 20.00 — მოამბე. 20.35 — „ჩვენი ენა ქართული" — განვიხილავთ ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტს. 21.00 — კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — მოსახლეობის საკავშირო აღწერა (მ.). 23.10 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 23.40 — კონცერტი „მოდით, დავისვენოთ!".

შაბათი, 12 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 „120 წუთი". 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიტყვა თქმული კახეთზე". 9.50 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჭარატაკსისი". 10.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვინ დათესავს ხვალ". 11.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 11.30 — „ათლეტიზმი". 12.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.05 — მულტკინოფანტაზია. 13.00 — დოკუმენტური ფილმი. 13.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.25 — კინოხელოვნების დარგის 1988 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები (მ.). 14.55 — მულტიპლიკაციური ფილმი. 15.05 — სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე: სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — რეკომენდატორი — მკვლელი. 17.00 — მოსწავლეთათვის. მახარაძის რაიონის გოგონათა ანსამბლის კონცერტი. 17.25 — მულტიპლიკაციური ფილმი. 17.30 — „არისთბილისი". 18.25 — თქვენი თხოვნით, მეგობრებო! კონცერტი. 19.20 — გარდაქმნის წახნაგები. „მინდორი, მაღაზია, მომხმარებელი". პირველი გადაცემა. 20.00 — მოამბე. 20.30 — „მინდორი, მაღაზია, მომხმარებელი". მეორე გადაცემა. 21.15 — სპორტული გადაცემა. „45 წუთი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — ილუზიონი.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ფოლკლორული ანსამბლის „ყაზიყუმუხის" კონცერტი. 10.05 — „რატომ და რისთვის". საბავშვო გადაცემა. 10.35 — მღერის ვ. გოტოვცევა. 10.55 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი". 11.05 — უსაფრთხო მოძრაობა. 11.35 — ლ. ბეთჰოვენი. სონატა № 5 ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის. 12.00 — ვისაუბროთ არსებითად. განვიხილავთ სსრ კავშირის კანონთა პროექტებს. 13.15 — უზბეკეთის უძველესი ძეგლები. დალვერზინ-ტეპე. 13.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „დიალოგი რინგთან". 13.55 — ტელეჟურნალი. სოციალიზმის ქვეყნებში. 14.25 — კინოხელოვნებაში სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები. 14.55 — ყველასა და თითოეულისათვის. ვაჭრობის რეფორმა. მოდები. ავტოსერვისი. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — მოკავშირე რესპუბლიკების კინოხელოვნება. თურქმენეთის სსრ. 16.35 — პოეზიის წუთები. 16.40 — შაბათი მშობლების დღეა. 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.20 — საერთაშორისო პროგრამა. „გდრ — ჩვენი პარტნიორი". ტელეფილმი „ევროპის სახლი — როგორ ხედავენ მას ჟურნალისტები". 19.40 — მხატვრული ფილმი „ვაგზალი ორისათვის". I და II სერია. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — დოკუმენტური ფილმი „უცხო". 23.20 — კვირაძალს. მღერიან ჯანი მორანდი და ლუჩო დალა. 0.50 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — პროგრამა „აზრი". სტუდია წარმოგვიდგენს... „შემეცნების წახნაგები" (კიევი). ქალაქ ჩერნიგოვის ისტორია. 10.00 — რჩეული. მონოლოგი ალექსანდრე ბლოკზე. 11.00 — „ჯანმრთელობა". სსრ კავშირის 1988 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები მედიცინის დარგში. 11.50 — ცხოველთა სამყაროში. 12.50 — რუსული მეტყველება. 13.25 — ისტორიის ფურცლები. შეხვედრა ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის" რედკოლეგიასთან და ავტორთა აქტივთან პოლიტექნიკურ მუზეუმში. 13.55 — ჟურნალი „ტელექო". 14.30 — ადამიანის ინსტიტუტი. ადამიანის კანი. 15.30 — ნოვატორები და კონსერვატორები. სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერატივი „ვიზირი" ნახევარი წლის შემდეგ. 16.15 — პედაგოგიკა ყველასათვის. 16.30 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „უბის წიგნაკის საიდუმლო". 17.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.05 — სვერდლოვსკის დოკუმენტური კინოს ფესტივალის პრიზიორი ფილმები. „უმაღლესი სამსჯავრო". 19.30 — ი. ბრამსი. სიმფონია № 4 მი მინორი. 20.10 — მოქმედი პირნი. კინორეჟისორ ა. სოკუროვის შემოქმედება. 20.55 — უსაფრთხო მოძრაობა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!" 21.15 — თათრეთის ასსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი. 22.00 — „ვრემია". 22.50 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მხატვრული ფილმი „მიწა და ოქრო". 0.10 — ახალი ამბები.

მხატვრის ღიმილი.

უსიტყვოდ. მურთაზ აბაშიძის ნახატი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 05592 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29